ხელშეკრულება N 447/06

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

ქ. თბილისი **მაისი, 2023 წელი**

ერთი მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა საღინაძის სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი”) და მეორე მხრივ, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ნიკა ახალბედაშვილის (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე- 10' მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში, უცხოელი სტუმრების ვიზიტის ფარგლებში მუზეუმში საექსკურსიო მომსახურების (წარმომადგენლობითი ხარჯი, CPV92500000 ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმებისა და სხვა კულტურული დაწესებულებების მომსახურებები) სახელმწიფო შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი და ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება, აღწერილობა და ღირებულება:

№	დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარი)	ღირებულება (ლარი)
1	საექსკურსიო მომსახურება	4	15.00	60.00
2	გიდის მომსახურება (უცხო ენაზე-მიმოხილვითი ტური)	1	50.00	50.00
	სულ ჯამური ღირებულება:			**110.00**

2.2. შესყიდვის ობიექტის სრული ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 110.00 ლარს (ას ათი ლარი და 00 თეთრი).

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი.

3.2 ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული ან მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

4.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

4.1 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ–ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების ხელშეკრულების 3,1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი დადებითი დასკვნის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
4.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი
5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების ხელშეკრულების 3,1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.
5.2 თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 06 მარტის N52/02/01 ბრძანების საფუძველზე შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები.
6.1. მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ.3, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმი.
6.2 მომსახურების გაწევა მოხდება ერთჯერადად, 2023 წლის 31 მაისს.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში,მხარეებს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3% (სამ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
7.3. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ის ოდენობით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
8.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.3 ხელშეკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.4 წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მხრიდან მასზე ელ. ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს ხელმომწერ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების ამოწურვამდე 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მიმოწერა სრულდება ქართულ ენაზე.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით და ორმხრივი ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

11.3 შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირ(ებ)ი და ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი ადასტურებენ, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევ ინტერესთა კონფლიქტს.

12. მხარეთა რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი</u>	<u>მიმწოდებელი</u>
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	**სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი**
მისამართი: ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ N1	მისამართი: ქ.თბილისი; რუსთაველის #3
საბანკო რეკვიზიტები: თსუ-ის საკუთარი შემოსავლები	**საბანკო რეკვიზიტები:** სახ. ხაზინა (ხაზინის ერთიანი ანგარიში) TRESGE22 7 0846 7201
საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548	**საიდენტიფიკაციო კოდი:** 204468664

Digitally signed by LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date: 2023.05.30 16:06:18 +04'00'

ლაშა საღინაძე

LEPL Georgian National Museum

Digitally signed by LEPL Georgian National Museum
Date: 2023.05.30 17:31:01 +04'00'

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი